პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის --- ნოემბერი

ქ. წყალტუბო

80 (ოთხმოცი) ერთეული ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერის, რომელთა ღირებულება შეადგენს 86144 (ოთხმოცდაექვსი ათას ას ორმოცდაოთხი) ლარს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“ -სათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 12 ნოემბრის 48-482631688 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას 80 (ოთხმოცი) ერთეული ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერის, რომელთა ღირებულება შეადგენს 86144 (ოთხმოცდაექვსი ათას ას ორმოცდაოთხი) ლარს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“ - სათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს 80 (ოთხმოცი) ერთეული ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერის, რომელთა ღირებულება შეადგენს 86144 (ოთხმოცდაექვსი ათას ას ორმოცდაოთხი) ლარს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“ - სათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ს. ჯოლოხავა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე რ.დიდავა

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482631688**
თარიღი: **12/11/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2026 წლის 11 ნოემბრის №06-482631511 წერილის (თან ერთვის) შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №124 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ფორტიქს გლობალის“ მიერ წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის მოწოდებულია 80 (ოთხმოცი) ცალი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 86 144 (ოთხმოცდაექვსი ათას ას ორმოცდაოთხი) ლარს. აღნიშნული კონტეინერები უსასყიდლოდ საკუთრებაში უნდა გადაეცეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრს“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრს“ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს ზემოაღნიშნული 80 (ოთხმოცი) ცალი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი, საერთო ღირებულებით 86 144 (ოთხმოცდაექვსი ათას ას ორმოცდაოთხი) ლარი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 124

(კონსოლიდირებული ტენდერი CON260000370)

ერთი მხრივ, **წყალტუბოს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი ორგანიზაცია“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის - **გენადი ბალანჩივაძის სახით** და მეორე მხრივ, **შპს „ფორტიქს გლობალ“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის - **ნათია მრელაშვილის სახით,** ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები,“ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის III[1] თავისა და საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელების წესის და პირობების“ საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) (CON260000370) კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე და მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, თანდართული ყველა დოკუმენტით და დოკუმენტაციით, რომლზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. სამუშაო დღე - კალენდარული დღე შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.5. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის შესყიდვას.

1.6. „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.7. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი.

1.8. სატენდერო დოკუმენტაცია - კონსოლიდირებული ტენდერის (CON260000370) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.9. „სატენდერო კომისია“ - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[6] მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელების წესის და პირობების“ მე-6 მუხლის საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის 80 ცალი ლითონის 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვა, რომლებიც აკმაყოფილებს კონსოლიდირებული ტენდერის (**CON260000370**) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს.

2.2. შესყიდვის ობიექტია ლითონის 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერი (შემდგომში - კონტეინერი).

2.3. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა და ერთეულის ღირებულება განისაზღვრება დანართი №1-ით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **86144** (ოთხმოცდაექვსი ათას ასორმოცდაოთხი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების 3.1. პუნქტითგათვალისწინებულ ფასში შედის წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადი.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები, ხარისხი და გარანტია

4.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 100 კალენდარული დღის ვადაში, **2026 წლის 07 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.**

4.2. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, კონტეინერ(ებ)ის მიწოდება უნდა განხორციელდეს აწყობილ მდგომარეობაში, შემდეგ მისამართზე: **ქალაქი წყალტუბო, ალ. ყაზბეგის ქუჩა №2ა .**

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით. ამასთან, მიმწოდებელმა საქონლის მიწოდებისას შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა წარუდგინოს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი.

4.5. საქონლის მიწოდებისას შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა წარუდგინოს მწარმოებლის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს რომ წინამდებარე კონსოლიდირებული ტენდერის (მითითებული უნდა იყოს კონტეინერის ნომერი) ფარგლებში წარმოებული კონტეინერის დასამზადებლად გამოყენებული მეტალის მწარმოებელია EREGLI DEMiR VE CELiK FABRiKALARI T.A.S., ხოლო გალვანიზაცია განახორციელა მაგალვანიზირებელმა ქარხანამ (KONKAP GALVANİZ METAL İŞLEME İNŞ. TAAH. SAN. TİC. A.Ş.). ასევე, დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს, რომ კონტეინერის დასამზადებლად გამოყენებული მეტალი დამოწმებულია EN 10204 type 3.1 ან 3.2 სერტიფიკატით, რომელიც ადასტურებს მასალის შესაბამისობას მოთხოვნებთან (კორპუსი ოთხივე მხარეს არანაკლებ 1.25 მმ, ძირი არანაკლებ 1.5 მმ, კუთხის გამაგრებები არანაკლებ 2 მმ ფოლადი).

4.5. გარანტია გავრცელდება საქონელზე სწორი ექსპლუატაციის პირობებში, მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში.

4.6. საგარანტიო პერიოდში, საქონლის დაზიანების ან ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით (მათ შორის, ტრანსპორტირების ხარჯი), შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი მიმართვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, უზრუნველყოს წუნდებული ან დაზიანებული საქონლის შეცვლა ან შეკეთება.

4.7. **საქონლის ხარისხის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარუდგინოს საბანკო ან სადაზღვეო კომპანიის (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან) მიერ გაცემული ხარისხის უზრუნველყოფის უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) და გამოუთხოვადი გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%–ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება საქონლის საბოლოო მიწოდების ვადით განსაზღვრული თარიღიდან არანაკლებ 24 (ოცდაოთხი) თვის ვადით. გარანტია გაცემული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში. თუ საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება ვადაგადაცილებით, მიმწოდებელი ვალდებულია დააკორექტიროს გარანტიაში მითითებული ვადა.

4.8. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი დავის შემთხვევაში, უნდა მოხდეს სადავო საქონლის ნიმუშის დალუქვა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში" ან სხვა აკრედიტირებულ პირში ტრანსპორტირება მიმწოდებლის მიერ, მისივე ხარჯებით. იმ შემთხვევაში თუ ექსპერტიზის დასკვნიდან გამომდინარე, საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პარამეტრებს ან/და ნივთი ექვემდებარე საგარანტიო პირობების ფარგლებში შეცვლას, ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი, ხოლო თუ საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პარამეტრებს ან/და ნივთი არ ექვემდებარე საგარანტიო პირობების ფარგლებში შეცვლას ექსპერტიზის ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.

4.9. მიმწოდებლის მიერ სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს ჩამოართვას ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია სრულად.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, საქონლის

მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

5.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი არიან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში შექმნილი თანამშრომელთა ჯგუფი. მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი არიან შპს „ფორტიქს გლობალ“-ის დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან მთლიანად საქონლის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტ(ებ)ის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. დაფინანსების წყარო: 2026 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

6.3.1. ანგარიშსწორების ვალუტა -ლარი.

6.3.2. ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო.

6.3.3. ანგარიშსწორება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

6.3.4. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%-მდე ოდენობით.

6.3.5. წინასწარი ანგარიშსწორების განსახორციელებლად, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) და გამოუთხოვადი გარანტია. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

6.3.6. წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს არანაკლებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების საბოლოო ვადიდან 30 კალენდარული დღით.

6.3.7. წინასწარი ანგარიშსწორებით გადახდილი თანხა მიმწოდებელმა უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ ხელშეკრულების შესასრულებად. ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა უნდა მოხდეს სრულად, ხოლო დანარჩენი თანხის გადახდა განხორციელდება საავანსოდ გადახდილი თანხის სრულად გამოქვითვის შემდეგ.

6.3.8. საავანსო ანგარიშსწორების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საავანსო ანგარიშწორების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ანგარიშსწორება.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.1.2. უზრუნველყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის მიღება.

7.1.3. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7.1.4. შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

7.1.5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

7.1.6. მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

7.1.7. შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის

შემთხვევაში.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.2.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.
7.2.2. განახორციელოს საქონლის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს შესყიდვის ობიექტის ვიზუალურ შემოწმებას ან/და წინამდებარე ხელშეკრულების მე-13 პუნქტით განსაზღვრულ კონტროლს.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3.2. საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის (CON260000370) სატენდერო დოკუმენტაციის, ხელშეკრულების და დანართი N1-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
7.3.3. პასუხი აგოს საქონლის შესაბამისობაზე, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართი N1-ით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.
7.3.4. შემსყიდველს მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
7.3.5. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში გამოკვეთილი ნებისმიერი საკითხი/ინფორმაცია, მათ შორის, გაუთვალისწინებელი ხელშემშლელი გარემოება, შეფერხების ფაქტი, მისი შესაძლო ხანგრძლივობა და გამომწვევი მიზეზი, დაუყოვნებლივ, წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიაწოდოს შემსყიდველს.
7.3.6. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე.
7.3.7. ხელი შეუწყოს შემსყიდველს კონტროლის განხორციელებისას.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის საქონლის მიწოდების, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები

9.1. იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება აღემატება 20 000 ლარს, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან/და სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში. **ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2027 წლის 11 იანვრის ჩათვლით, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის საგარანტიო ვალდებულებები სრულად შესრულდება 2027 წლის 11 იანვრამდე ჩათვლით, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დაუბრუნოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.**
9.2. ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
9.3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის (იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული სატენდერო წინადადების საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით ნაკლები იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე,

ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის) ოდენობით.

9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს საბანკო გარანტია ან/და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში.

9.5. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია, მიმწოდებლის მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

9.6. წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ მცირდება მიმწიდობლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროპორციულად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დადასტურებიდან მოქმედებს **2027 წლის 11 იანვრის ჩათვლით.**

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.2. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით და აღნიშნული უშუალო ზემოქმედებას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულებამდე.

12.2. ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის დადგომის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით და მხარეები შეწყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულებას, მათ არ აქვთ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

12.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებულ უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათი კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობაში.

13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე

უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

13.3. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდების და მომსახურების გაწევის კონტროლს ახდენს სისტემატურად, საკუთარი შეხედულებისამებრ. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით - შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი კვლევა.

13.4. კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დეფექტის/ნაკლის ან/და წუნის შესახებ შემსყიდველმა, წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა ან წუნდებული საქონლის შეცვლა.

13.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლები. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში შექმნილი თანამშრომელთა ჯგუფი.

13.6. სსიპ „ცენტრალური შემსყიდველი ორგანო“ უფლებამოსილია, კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს ინსპექტირება და კონტროლი.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილების შეტანა

14.1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით, კონსოლიდირებული ტენდერითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

14.2. საქონლის მიწოდების ვადის 10 კალენდარულ დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. აგრეთვე, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია სატენდერო კომისიას მიმართოს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ მიმწოდებელი ვერ შეასრულებს ვალდებულებას დამატებით განსაზღვრულ 10 კალენდარული დღის ვადაში.

14.3. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც, იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება ნაკლებია 20 000 ლარზე, მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა - კონკრეტული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს/აღემატება 20 000 ლარს, მიმწოდებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრულად.

14.4. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

14.4.1. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

14.4.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

14.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები, დავის გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. კონფიდენციალურობა

16.1. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად.

16.2. ვალდებულება კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც.

17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მისამართი: ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25

სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ხაზინის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022
საიდენტიფიკაციო კოდი: 221274546
ელექტრონული ფოსტა: tskaltubo1@gmail.com, tskaltubo@procurement.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი
გენადი ბალანჩივაძე

Genadi Balanchivadze 53001013641
Digitally signed by Genadi Balanchivadze
Date: 2026.07.30 14:30:31

მიმწოდებელი:

შპს „ფორტიქს გლობალ“
მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, სართული N13, ბინა N173
მიმღები: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE20BG0000000612277642
საიდენტიფიკაციო კოდი: 405787439
ელექტრონული ფოსტა: fortixglobal2025@gmail.com

შპს „ფორტიქს გლობალ“-ის დირექტორი
ნათია მრელაშვილი

Natia Mrelashvili 01017015902
Digitally signed by Natia Mrelashvili
Date: 2026.07.30 14:46:14

დანართი №1

N	შესყიდვის ობიექტი	ტექნიკური აღწერილობა	რაოდენობა (ცალი)	წარმოების ქვეყანა	მწარმოებელი	მოდელი	მაგალვანიზირებელი ქარხნის დასახელება	მეტალის მწარმოებელი	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
1	1100 ლიტრიანი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი	სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად	80	თურქეთი	მწარმოებელი - BDB METAL VE SAVUNMA SANAYİ TİCARET LİMİTED SIRKETİ	მოდელი: BDB.11100A	KONKAP GALVANİZ METAL İŞLEME İNŞ. TAAH. SAN. TİC. A.Ş.	EREGLI DEMiR VE CELiK FABRiKALARI T.A.S.	**1076.80** ლარი	**86144.00** ლარი

Genadi Balanchivadze 53001013641

Digitally signed by Genadi Balanchivadze
Date: 2026.07.30 14:30:53

საქართველოს ბანკი
ბიზნესი

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია # PE1137597-26

საქართველო 29 ივლისი 2026 წელი

გარანტი: სს საქართველოს ბანკი ს:კ 204378869 (შემდგომში „გარანტი")
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს ფორტიქს გლობალ; ს/კ: 405787439 (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, სართული N13, ბინა N173, ფართი (მშენებარე)
ბენეფიციარი: თვითმმართველი ერთეული წყალტუბოს მუნიციპალიტეტი; ს/კ: 221274546 (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის მისამართი: საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. 25
საგარანტიო თანხა: 4,307.20 (ოთხი ათას სამას შვიდი და 20/100) ლარი
გარანტიის მოქმედების ვადა:11 იანვარი 2027 წელი
ტენდერის უნიკალური ნომერი: CON260000370

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა 1100 ლიტრიანი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერების მიწოდების მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 4,307.20 (ოთხი ათას სამას შვიდი და 20/100) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან, დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის საჭიროების გარეშე. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბანკი უფლებამოსილია არ მოითხოვოს აღნიშნული საბუთი, თუ ხელმომწერი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია) და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 11 იანვარი 2027 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობით მოთხოვნის ორიგინალი დოკუმენტი თანხის ანაზღაურებაზე გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტიის მოქმედების ვადის ჩათვლით სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის სტრუქტურული დაფინანსების დეპარტამენტის საყურადღებოდ ან/და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერითა და შტამპით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: documents@bog.ge (იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, მისაღებია მხოლოდ კვალიფიციური ელექტრონული შტამპი) თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 საათი) 18:00 საათის ჩათვლით.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

საქართველოს ბანკი
ბიზნესი

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე, საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მებაი ის მენეჯერი

Ana Mebagishvili 20001066049

Digitally signed by Ana Mebagishvili
Date: 2026.07.29 17:15:05

Bank of Georgia JSC

Digitally signed by Bank of Georgia JSC
Date: 2026.07.29 17:32:57 +04'00'

სს „საქართველოს ბანკი"
ს/კ: 204378869
გაგარინის ქ. №29ა
თბილისი 0160, საქართველო

JSC Bank of Georgia
I/D: 204378869
29A Gagarini Str.,
Tbilisi 0160, Georgia

documents@bog.ge | trade_finance@bog.ge | (0 32) 2 444 444

წერილის ნომერი:**06-482631511**
თარიღი: **11/11/2026**

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №124 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ფორტიქს გლობალ“-მა შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა და 2026 წლის 2 ნოემბერს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩაგვაბარა 86144.00 (ოთხმოცდაექვსი ათას ასორმოცდაოთხი) ლარის ღირებულების 80 ცალი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს უზრუნველყოს აღნიშნული ქონების გადაცემა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრისათვის.

პატივისცემით,

იასონ გაბუნია

ზედამხედველობის სამსახური-სამსახურის უფროსი